აღზრდა, ემოციური რეგულაცია და იდენტობის მიღწევა

გიორგი სირაბიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი სირაბიძე

20 ივნისი, 2022

აბსტრაქტი

აღზრდა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პიროვნების განვითარებაზე. აღზრდის პროცესში მიღებული გამოცდილებები წარუშლელ ან რთულად შესაცვლელ კვალს ტოვებს სუბიექტის ცხოვრებაში, რადგან დედის, მამის, დედისა და მამის წყვილის და ოჯახის სხვა წევრების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენა არის ის ფაქტორი, რისგანაც განსაკუთრებით დაუცველია ბავშვი ცხოვრების ადრეულ პერიოდებში. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო დაედგინა, თუ რა კავშირია აღზრდას, ემოციურ რეგულაციასა და იდენტობის მიღწევას შორის. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და მოპოვებული მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების შედეგად ნაწილობრივ გამართლდა კვლევის ჰიპოთეზები. კერძოდ, სუბიექტურად აღქმული დედისა და მამის მხარდაჭერითი და ავტონომიის მხარდაჭერითი აღზრდის განზომილებები დადებით კავშირში იყო ემოციური რეგულაციის კოგნიტური გადაფასების სტრატეგიასთან და მეორე მხრივ, დადებით კავშირში იყო როგორც ზრდასრული იდენტობის მიღწევასთან, ისე სოციალური იდენტობის მიღწევასთან. დადებით კავშირში იყო ასევე ემოციური რეგულაციის კოგნიტური გადაფასება როგორც ზრდასრული იდენტობის მიღწევასთან, ისე სოციალური იდენტობის მიღწევასთან. კვლევის ფარგლებში არსებული მოლოდინის საწინააღმდეგოდ კი, აღზრდის მხარდაჭერითი და ავტონომიის მხარდაჭერითი განზომილებები და ემოციური რეგულაციის კოგნიტური გადაფასება არ აღმოჩნდა ზრდასრული იდენტობისა და სოციალური იდენტობის მიღწევის პრედიქტორები. კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია ეხმიანება სხვადასხვა მეთოდოლოგიის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებსაც.

Abstract

Parenting has a significant impact on a person's development. Experiences gained in the process of parenting leave an indelible trace in the subject's life, because the positive and negative influences of mother, father, mother and father couple and other family members are the factors to which the child is especially vulnerable in the early stages of life. The present study aimed to determine what the relationship is between parenting, emotional regulation, and identity resolution. The quantitative research method was used in the research and as a result of statistical processing of the obtained data the research hypotheses were partially confirmed. In particular, the dimensions of perceived mother and father support and autonomy support were positively correlated with the strategy of cognitive reappraisal of emotional regulation and, on the other hand, were positively correlated with both the resolution of adult and social identity. There was also a positive correlation between cognitive reappraisal of emotional regulation and the resolution of both adult and social identity. Contrary to expectations, dimensions of supportive and autonomy-supportive parenting and cognitive reappraisal of emotional regulation did not appear to be predictors of the resolution of adult and social identities. The information obtained within the research reflects the results of the study conducted within the framework of different methodologies.

მადლობა

ნაშრომის მომზადების პროცესში მიღებული რეკომენდაციების, რჩევებისა და გაწეული დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქეთევან მაყაშვილს. მისი პროფესიული და პიროვნული დახმარების გარეშე გამიჭირდებოდა საკვლევი საკითხების სწორად შერჩევა და მათი თანმიმდევრულად წარმართვა. ამასთან, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ჩემი პროფესიული ცოდნის ჩამოყალიბებაში.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპონდენტს, რომელთა დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის განხორციელება.